



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (II კვარტალი, 2022)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 18 | 23.06.2022


„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია. მოცემულ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია ქართველ ეკონომისტთა მიერ შეფასებული საქართველოს ეკონომიკური კლიმატი. პროექტი საქართველოდან 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2022 წლის ივნისში.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2022 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა როგორც 2022 წლის პირველ კვარტალთან, ასევე 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.

ამავე პერიოდში, გამოკითხულმა ქართველმა ეკონომისტებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. ამავდროულად, 2022 წლის პირველ კვარტალსა და 2021 წლის მეორე კვარტალში ეკონომისტების შეფასებები შესაბამის კვარტლებში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უარყოფითი იყო. ამრიგად, 2022 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ამ ორივე კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ქართველ ეკონომისტებს ასევე დადებითი მოლოდინები აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. მათი მოლოდინები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული როგორც 2022 წლის პირველ კვარტალთან, ასევე 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2022 წელს 6.1%-ს შეადგენს. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:



- მოსალოდნელია ინფლაციის კლება შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;



გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად ზედმეტად არის შეფასებული აშშ დოლარის, ევროსა და რუსული რუბლის მიმართ და ნაკლებად არის შეფასებული თურქული ლირის მიმართ;



ვაჭრობის მოცულობა

- უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ექსპორტის მოცულობა, სავარაუდოდ უფრო ნაკლებად გაიზრდება, ვიდრე იმპორტისა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას მომდევნო ექვს თვეში გასულ ექვს თვესთან შედარებით.

სპეციალური შეკითხვები

PMCR RC მტკიცედ დგას უკრაინის გვერდით, მხარს უჭერს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და გმობს რუსეთის მიმდინარე სამხედრო აგრესიას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ომის ყველაზე დამანგრეველი შედეგი უკრაინის ჰუმანიტარული კატასტროფა და მილიონობით ადამიანის დაკარგული სიცოცხლეა, ასევე მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა შედეგებს მოიტანს ეს ომი საქართველოს ეკონომიკისთვის. ამიტომ, ამ სექციოში კითხვების ნაწილი ეხება საქართველოში ომის გავლენის შეფასებას.

2022 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში ქართველმა ეკონომისტებმა შეაფასეს ამ დროის ეკონომიკური კლიმატის ტენდენციებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

საერთო ჯამში, გამოკითხულ ეკონომისტთა 94% ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 11 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებისა და მონეტარული პოლიტიკის განაპირობების უცვლელად, 11%-ზე, დატოვების თაობაზე.

გარდა ამისა, ეკონომისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, თუ საიდან მიიღებდა საქართველოს ეკონომიკა ყველაზე მძიმე ზიანს გრძელვადიან პერსპექტივაში, მას შემდეგ, რაც ომის მყისიერი ეფექტების შეფასება უკვე შესაძლებელი იყო. გამოკითხულთა 94% ფიქრობს, რომ ეს კონფლიქტი მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას. ასევე, ეკონომისტების დიდი ნაწილი (71%) თვლის რომ ექსპორტები არის არხი, რომლის გავლითაც ამ ომმა შესაძლოა საქართველოს ეკონომიკას გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. ამავდროულად, რესპონდენტები ნაკლებად მოელონ რომ ომი საქართველოს ეკონომიკაზე გაცვლითი კურსისა და ფულადი გზავნილების კუთხით იქონიებს გავლენას.

ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების არხები. ეკონომისტთა 65%-ი თვლის რომ ტურიზმის სურსათის იმპორტის დამოკიდებულება რუსეთზე მაღალია. გამოკითხულთა 59% მიიჩნევს, რომ მაღალია საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე.

ამასთანავე, რესპონდენტებს სთხოვეს შეეფასებინათ შესაძლო სტრატეგიული შესაძლებლობები, რომლებიც, გარდა უარყოფითი გავლენისა, ასევე გაჩნდა საქართველოსთვის რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მომხდარი გეოპოლიტიკური ძვრების ფონზე. რესპონდენტთა 82% ფიქრობს, რომ ყველაზე დიდ ეკონომიკურ სარგებელს საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციის დაჩქარების შესაძლებლობის გამოყენების შედეგად მიიღებს. გამოკითხულ ეკონომისტთა უმეტესობამ (71%) ასევე გაამაზვილა ყურადღება საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებაზე, როგორც საქართველოს ეკონომიკისთვის პოტენციურად მაღალი სარგებლის მქონე შესაძლებლობაზე.

მსოფლიო ბანკის თანახმად*, ვინაიდან მსოფლიო სტაგფლაციის ფაზაში შესვლის რისკების წინაშე დგას, არსებობს ხუთი ძირითადი სფერო, რომლებიც ენაც ქვეყნებმა უნდა მიმართონ თავიანთი პოლიტიკა, რათა შეძლონ ამ რისკების თავიდან აცილება. გამოკითხული ქართველი ეკონომისტების დაახლოებით ნახევარი (47%) თვლის, რომ საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკის ფოკუსირება ნავთობისა და სურსათის ფასების ზრდის შეკავებასა და ენერჯის განახლებაზე წყაროების უფრო ინტენსიურად მოხმარებაზე.

წყარო: მსოფლიო ბანკის რეპორტი "გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები, ივნისი 2022"

მეთოდოლოგია
ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინს. მასშტაბი მერყეობს -100 ქულიდან +100 ქულამდე. -100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსი გაუმჯობესებას (დადებითს), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს.

ინდიკატორები	2018	2019	2020	2021	2022 Q1
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 596.6	17 470.7	15 888.1	18 690.4*	4624.9*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე(აშშ დოლარი)	4 722.0	4 696.2	4 274.6	5 015.4*	1 249.9*
მშპ რეალური ზრდა (%)	4.8%	5.0%	-6.2%	10.4%*	14.9%*
ინფლაცია	2.6%	4.9%	5.2%	11.8%	13.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 317.1	1 335.8*	572.0	1 152.8*	568.2*
უმუშევრობის დონე (%)	19.2%	17.6%	18.5%	20.6%	20.6%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 434	5 741	7 535	7 956	-
სიღარიბის დონე(ფარდობითი)	20.5%	20.1%	19.7%	18.9%	19.4%

*წინასწარი მონაცემები



ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- o პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- o რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებას ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემზღვეული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გიორგი ნულაია
უმცროსი მკვლევარი
g.tsulaia@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
კვლევითი ასისტენტი
a.chkhenkeli@pmcginternational.com